„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2025 წელი ● №9-10 (9599-9600) ● 1-31 მაისი ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

მაისის ქრონიკა

26 მაისი-საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

9 მაისი -ფაშიზმზე გამარჯვების დღე

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე

სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა

17 მაისი - ერის კონსოლიდაციის თანამედროვე სიმბოლო

სახელმწიფოს მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ მექანიზმს იდეოლოგია წარმოადგენს, რომელიც მხარდაჭერილია საზოგადოებრივი ძალების მიერ და ახდენს ადამიანთა კონსოლიდაციას, მათ გაერთიანებას, რითაც ხელისუფლებას ეხმარება მართვა-გამგეობის უფრო ეფექტურად წარმართვაში...

ქვეყნის მინი მოდელად ,,ოჯახის ინსტიტუტი" გვევლინება, რომელიც ეფუძნება ქალისა და მამაკაცის სულიერ -სამართლებრივ კავშირს, სწორედ ეს ინსტიტუტია ადამიანთა მაორგანიზებელი პირველადი სოციალური გაერთიანება.

ტერმინი ,,დემოკრატია" გულისხმობს ხალხის მმართველობას, რომელშიც მოიაზრება უმრავლესობის ნება დაიცვას და განახორციელოს საკუთარი უფლებები, როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, ისე კულტურულ ურთიერთობებში. სწორედ საქართველოში, საზოგადოების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს იმ აზრის მატარებელს, რომელიც მომხრეა ქართული გენი იყოს თვითმყოფადი, თავისი ტრადიციული ოჯახური ფასეულობებით და ის განსხვავდებოდეს სხვა ერებისგან, რაც გამომდინარეობს

მისი თვითგადარჩენის ინსტიქტიდანაც.

ფასეულობები, რაც სხვა ქვეყნებისთვის მისაღებია და კულტურის ნაწილიცაა, ჩვენთვის შეიძლება მიუღებელი და დამღუპველი აღმოჩნდეს.

მართლმადიდებლური ეკლესია, ჩვენი ქვეყნის იდეოლოგიური იარაღი, ქართული გენის სული, რომელმაც ქრისტიანობის ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე გამოგვატარა სხვადასხვა ჯურღმულები და მეტ -ნაკლებად უვნებლად მოგვიყვანა დღემდე, დადგა თავის მოწოდების სიმაღლეზე და 2014 წლის 17 მაისს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ,,ოჯახის სიწმინდის დღის გამოცხადებით", გასცა პასუხი შავ-ბნელ ძალებს.

მეთერთმეტე წელია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ,,ოჯახის სიწმინდის დღე" აღინიშნება სასულიერო რიტუალის განხორციელებითა და გრანდიოზული მსვლელობებით. აღნიშნულ დღესასწაულს დრო ვერაფერს აკლებს, პირიქით ყოველი მომდევნო წელი გამოირჩევა ამ მართლაც ეროვნული დღის მაშტაბურობით. გამონაკლისი არც 2025 წლის 17 მაისი იყო - სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა ზღვა ნაკადით გაეშურა მის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ ზუგდიდში, სადაც რეგიონის მაცხოვრებლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ქართული ტრადიციული ფასეულობების დაცვის უტყუარობა. მართლაც, ეს დღე არის ერის კონსოლიდაციის თანამედროვე სიმბოლო, ქვეყნის გაერთიანებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, ასევე ირიბი მოწოდება, ჩვენი ძმების აფხაზებისა და ოსებისადმი დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ ოჯახს, სადაც ტრადიციული ფასეულობების დაცვა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქართული სახელმწიფოსი.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ულოცავს საქართველოს, ამ მეტად მნიშვნელოვან, სახელმწიფოებრივად სწორ დროს შერჩეულ და დადგენილ საერო დღესასწაულს - ჩვენს ქვეყანას უსურვებს მყარ, ძლიერ ოჯახებს ქვეყნის მთლიანობისა და ეროვნული ერთიანობის სადარაჯოზე! . . .

გ. გარუჩავა

მუნიციპალიტეტის მერიაში

მიმდინარე პროექტები

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, დავით ვერავამ, მოადგილესთან, გიორგი ნადარაიასთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, არსებული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან, მერის პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მერის მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან და მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსთან, მერაბ ჯანაშიასთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილა. სახელმწიფო რწმუნებული, მოადგილესთან, სენაკის მერთან, ვახტანგ გადელიასთან, მერის პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან, მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან და ხელოვნების ცენტრის დირექტორთან, ვეფხვია ვეფხვაძესთან ერთად, ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო. ამ ეტაპზე, სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების - ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს, რაც მოიცავს პირველი და მეორე სართულების, სველი წერტილების, საკონფერენციო დარბაზისა და სასწავლო ოთახების სრულ რეაბილიტაციას. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და ღირებულება 391 599 ლარს შეადგენს. რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში, 2024 წელს, სრუ-

ლად განახლდა ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდი საკონცერტო დარბაზი და სცენა; რეაბილიტირდა სასწავლო ოთახები, კეთილმოეწყო დერეფანი, განახლდა მცირე საკონცერტო დარბაზი. დავით ვერავა ასევე გაეცნო დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში განხოციელებულ პროექტს, რომლის ფარგლებში ჩატარდა: სცენის დემონტაჟი და ახლით შეიცვალა, მოეწყო სასცენო განათების ახალი სისტემა, რეაბილიტირდა შენობის პირველი, მეორე და მესამე სართულები, სხვადასხვა სივრცეები, მოეწყო ელექტროგაყვანილობის, წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სადრენაჟე სისტემები, ახლით შეიცვალა საკონცერტო დარბაზის სკამები. პროგრამის ,,განახლებული რეგიონების" ფარგლებში, ასევე ჩატარდა შენობის ექსტერიერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის შენობა 36 წლიანი ისტორიის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდობის ცენტრია, სადაც 400-მდე ახალგაზრდა სხვადასხვა სერვისით სარგებლობს.

სამუშაო თათბირი გაიმართა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მერიის სამსახურებისა და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ორშაბათის თათბირი გაიმართა. მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, პირველ მოადგილესთან, ბადრი ქუთელიასთან და მოადგილესთან, ნანა ზარანდიასთან ერთად, პირველადი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალური ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებისგან შესრულებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. სხდომაზე იმსჯელეს 2025 წლის ,,სოფლის მხარდჭერის პროგრამის'' ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მიმდინარეობის დეტალებზე, ინფრასტრუქტურული პროექტების, მიმდინარე და ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების, ზედამხედველობითი ღონისძიებების მიმდინარეობის, გამოცხადებული ტენდერების, სოფლის მეურნეობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებსა და პროგრამებზე, ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ. მუნიციპალიტეტის მერმა, ასევე ხაზი გაუსვა სამოქალაქო ბიუჯეტირების 2025 წლის პროგრამას - ,,მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 000 ლარი სრულად მივმართეთ სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამისთვის, რაც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ჩვენი მოსახლეობის თვითმმართველობაში ჩართულობის ამაღლებას, მათი ინიციატივით და მათთან ერთად, მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას''. ვახტან გადელიამ, მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის გზებზე ისაუბრა და მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მითითებები გასცა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (გაგრძელება)

ეს დღე ჩვენია - 26 მაისი სენაკში

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის გამოფენა და ფოტოზონები. ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე რეკრუტებმა სამხედრო ფიცი დადეს. საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის სენაკის წარმომადგენლობის ინიციატივით, დილიდან, სტარტი აიღო სპორტულმა მარათონმა. დღის მანძილზე, ჟიული შარტავას სახელობის ცენტრალურ პარკში მოეწყო სხვადასხვა სივრცეები, გამოფენები, მოლბერტებზე ხატვა, საჩვენებელი ექსპერიმენტები ქიმიაში, სახეზე და ასფალტზე ხატვა, საბავშვო ხელსაქმის მასტერკლასები. გაიმართა სპორტული აქტივობები სხვადასხვა სახეობებში - კალათბურთში, ტაეკვანდოში, ძიუდოში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში, ასევე - საბავშვო საფეხბურთო ფესტივალი და ფინალური მატჩი მინი ფეხბურთში. დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი პროგრამის ფარგლებში გაიმართა ხალხური და საესტრადო მუსიკის კონცერტი, შოუ - საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით, ადგილობრივი შემსრულებლების: ,,კოლხური ტრიოს'', ,,ეგრისის'', ,,გოგალაის", სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა და ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტები, ფლეშმობი - საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილებით. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა. 17:10 საათზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიულ დროს, აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. საქართველოს დამოუკიდებლობის 107 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გალა კონცერტით დასრულდა. ღონისძიებები სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალური აიპებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით გაიმართა. ღონისძიებებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდნენ.

ინფრასტრუქტურის მინისტრის ვიზიტი

ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი სენაკში 100 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობას ასრულებს. პროექტს აზიის განვითარების ბანკი ახორციელებს და ჯამური ღირებულება 5 მილიონ ლარს აღემატება. დასრულებულ სამუშაოებს ინფრასტრუქტურის მინისტრი, რევაზ სოხაძე, სენაკის, ფოთის და ხობის დელეგატთან, გიორგი ხახუბიასთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, დავით ვერავასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. "სენაკში ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო ბაღი აშენდა. სამუშაოები მალე დასრულდება და სენაკში გვექნება თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ახალი საბავშვო ბაღი. ეს არ ეხება მხოლოდ სენაკს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ყველა რეგიონში, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობს ბაღების, სკოლების და სხვა საჯარო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ისეთი როგორიც არასდროს ამ ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა,"- აღნიშნა ინფრასტრუქტურის მინისტრმა, რევაზ სოხაძემ. პროექტის ფარგლებში, მოეწყო საძინებელი, სათამაშო, გამოსაცვლელი და ადმინისტრაციული ოთახები, სამზარეულო, სასადილო, სამრეცხაო, ლიფტი და საევაკუაციო კიბეები. ეზოში მოეწყო რეკრეაციული სივრცე და სათამაშო მოედნები. საბავშვო ბაღი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

რეგიონული ფორმატის შეხვედრა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის რეგიონული ფორმატის სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო მუნიციპალიტეტებში არსებული სამართლებრივი გამოწვევების ანალიზი და იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს სისტემურ მიდგომას და საკანონმდებლო დონეზე რეაგირებას. დისკუსიების ფარგლებში გამოიკვეთა საჭიროებები, მათ შორის, ქონების მართვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში მომსახურების ხელმისაწვდომობა, ასევე მუნიციპალიტეტებში საჯარო სამსახურის სპეციფიკის რეგულირების აუცილებლობა.

რეფორმის ფარგლებში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბადრი ქუთელია, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ, შეიქმნება ერთიანი, სრულყოფილი საკადასტრო მონაცემთა ბაზა და საბოლოოდ იდენტიფიცირდება კერძო, სახელმწიფო თუ მუნიციპალური საკუთრება. სენაკის მუნიციპალიტეტის მერია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობენ, რათა რეგისტრაციის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე, მარტივი და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა

საქართველოს კულტურის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერითა და სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ორგანიზებით, სასკოლო

თეატრალური ოლიმპიადა საზეიმოდ გაიხსნა. თეატრალურ ფესტივალში, რომელიც მეორე წელია ტარდება, წელს, 12 საჯარო სკოლამ და ახალგაზრდული თეატრმა მიიღო მონაწილეობა.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნას, თეატრალები - აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობები: თამარ აბშილავა-კობახიძე და ლადო კოკაია უძღვებოდნენ. გახსნის ცერემონიალს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ელისო შურღაია, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური, საგანმანათლებლო სფეროებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ოლიმპიადის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მონაწილეებს წარმატებები უსურვეს: იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ელისო შურღაიამ. მაყურებელთა წინაშე წარდგნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრების შემოქმედებითი ჯგუფები, ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის სენაკის სალოტბარო სკოლა, ანიმატორები, ინდივიდუალური შემსრულებლები.

***

5 მაისს სასკოლო თეატრალური ოლიმპიადა საზეიმოდ დაიხურა. გამოვლინდა გრან-პრის მფლობელი - სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლა, ასევე - ნომინანტები, რომლებიც დიპლომებით და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. თეატრალურ ფესტივალში წელს, ათმა საჯარო სკოლამ და ახალგაზრდულმა თეატრმა მიიღო მონაწილეობა - ქალაქ სენაკის გენო ადამიას სახელობის პირველმა, ჟიული შარტავას სახელობის მე-2 , მე-3, მე-7, გეჯეთის, ქვემო ფოცხოს, თეკლათის, ნოქალაქევის, კოტიანეთის, უშაფათის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლების თეატრალურმა დასებმა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

კულტურისა და შემოქმედების ცენტრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრ-სტუდიამ ,,მართვე". თეატრალური ოლიმპიადის მონაწილეებს წარმატებები უსურვეს და სასკოლო ოლიმპიადის მნიშვნელობაზე ისაუბრეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ნანა ზარანდიამ და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, ელისო შურღაიამ. ოლიმპიადას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური და საგანმანათლებლო სფეროების წარმომადგენლები დაესწრნენ. სასკოლო ოლიმპიადის დაარსებისა და ჩატარების მთავარი მიზანი კულტურის, განათლებისა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, თეატრალურ ცხოვრებაში მეტი მოზარდის ჩართვა და ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენაა.

„საბავშვო არქეოლოგია"

პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ჩართულობით, საგანმანათლებლო პროექტი ,,საბავშვო არქოლოგია'' მიმდინარეობს. იმიტირებულ გათხრებში მონაწილეობა სენაკის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. ,,საბავშვო არქეოლოგიის'' ფარგლებში მიმდინარე იმიტირებული გათხრების პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი და პროექტის ავტორი და ორგანიზატორი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი ირმა კუპრეიშვილი ესწრებოდნენ. პროექტი ,,საბავშვო არქეოლოგია" 11 წელია არსებობს და ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალსა და მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში საგანგებოდ მოწყობილ ველზე ხორციელდება, რაც სასწავლო-შემეცნებით არქეოლოგიურ გათხრებს გულისხმობს. მიმდინარე წელს, ერთი თვის მანძილზე, პროექტში სენაკის საჯარო სკოლების მე-6 და მე-7 კლასების 255 მოსწავლე ჩაერთო. მოსწავლეებთან ერთად პროექტში ჩართულები იყვნენ სკოლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პედაგოგები და კლასის დამრიგებლები. მოსწავლეებს, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ არქეოლოგიის საველე საქმიანობის სპეციფიკას და ამ საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები გამოემუშავებინათ. პროექტში ჩართულ ყველა მოსწავლეს ,,ნორჩი არქეოლოგის" სერტიფიკატი გადაეცა.

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მილოცვები

წარმატებული მეწარმე და აღიარებული ქველმოქმედი

ჩვენი მუნიციპალიტეტის გამორჩეულ პიროვნებას, სს ,,არქეოპოლისის" დამფუძნებელს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრს, ორგზის ღირსებისა და წმინდა ნიკოლოზის ორდენების კავალერს, სენაკის, ზუგდიდის და მარტვილის საპატიო მოქალაქეს, ქველმოქმედს... ბატონ დემურ გადელიას ქვეყნის აღმშენებლობაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. რედაქციისა და ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს და ჩვენი მამულის წინსვლა აყვავების საქმეში კვლავაც განუხრელად დგომას.

განსაკუთრებულია მისი როლი

ბატონი **გურამ მისაბიშვილი** წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში წამყვან პოზიციებს იკავებდა. არის საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრი. ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრის პირველი მოადგილეა. განსაკუთრებულია მისი როლი მუნიციპალიტეტის ისტორიაში. მისი განვლილი გზა კაცურკაცობის, შრომის, მეგობრობის, ქვეყნისთვის უანგაროდ მსახურების ნიმუშია. გაზეთი ,,კოლხეთი" ულოცავს ბატონ გურამს დაბადების დღეს და უსურვებს ერის სამსახურში კვლავაც წარმატებულ საქმიანობას.

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

,,რეპორტაჟი - შექსპირის ეპოქიდან..."

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს მხარდაჭერითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ორგანიზებით, მორიგი წარმატებული პროექტი - ,,რეპორტაჟი - შექსპირის ეპოქიდან...", შედგა. ინგლისელი დრამატურგისა და პოეტის, უილიამ შექსპირის შემოქმედებას მიეძღვნა საღამო და ვიდეო-კონტენტების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა 21-მა საჯარო სკოლამ მიიღო. ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის პირველი ადგილი წილად ხვდა ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლას; მეორე ადგილზე - არნოლდ ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საჯარო სკოლა გავიდა; მესამე ადგილის მფლობელები გახდნენ: სენაკის მე-7 და კოტიანეთის საჯარო სკოლები. ჟიურის რჩეულის ტიტული წილად ხვდათ მენჯისა და ზანის საჯარო სკოლებს. ღონისძიებას, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავა, მერიის განათლების, კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, განათლების მიმართულებით - - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი, ირმა კუპრეიშვილი, საგანმანათლებლო სფეროს და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საღამოს დასასრულს, ასევე დაჯილდოვდნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას პროექტის - ფოტო-კონკურსის: ,,გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში...", გამარჯვებულები.

პატივი მიაგეს

ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ გადელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ საბა ოდიშარიამ, მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ყვავილებით შეამკეს ომში დაღუპული გმირი მფრინავის, ალექსანდრე წურწუმიას ბიუსტი და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას. მეორე მსოფლიო ომში სენაკიდან 5 996 ადამიანი წავიდა, მათგან მხოლოდ 3 530 დაბრუნდა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების სახით – 2 000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრები 1 000 ლარს მიიღებენ.

უფასო სამედიცინო კვლევები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სენაკში, ხობსა და აბაშაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დროებით დევნილ მოსახლეობას, სენაკის სამედიცინო ცენტრ "დიომედში", მრავალპროფილური სკრინინგული გამოკვლევები ჩაუტარდა. პროცესის მიმდინარეობას სენაკის სამედიცინო ცენტრში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლაშა ქარდავა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია გაეცნენ. თბილისის წამყვანი კლინიკების სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმების კონსულტაცია გაეწია 100-ზე მეტ ბენეფიციარს, ასევე ჩატარდა უფასო დიაგნოსტიკური კვლევები. მოქალაქეებს, ექიმის დანიშნულების შესაბამისად, საჭირო მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მუსიკალური კონკურსის - ,,ააჟღერე კინომუსიკა", რჩეულ მონაწილეებს უმასპინძლეს და მათ პირადი გადაწყეტილებით სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარიას რჩეული, ძველი სენაკის საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე, ევა ჩიქობავა გახდა;

მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიასაგან საჩუქრები გადაეცათ, გენო ადამიას სახელობის N1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს, დავით ჟვანიასა და ჟიული შარტავას სახელობის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს, ანასტასია ზუხბაიას;

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, ლეძაძამის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე, ელენე ფუტკარაია და პირველი კლასის მოსწავლე, ბადრი ძაძამია დაჯილდოვა;

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებიას საჩუქარი, მესამე საჯარო სკოლის, მე-9 კლასის მოსწავლეებს, ნინო სიჭინავასა და ელენე ლომაიას გადაეცათ;

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ინგა ქარდავას რჩეული, ზემო ჭალადიდის მეშვიდე კლასის მოსწავლე, თამარ ყურაშვილი გახდა;

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, მანანა გვიჩიას საჩუქარი, ახალსოფლის საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეს, ანამარია ბარქაიას გადაეცა;

საკრებულოს წევრმა, მარინე ნანიშვილმა, კონკურსის ,,სენაკის ეროვნული გმირები" მონაწილე, N3 საჯარო სკოლის მოსწავლე, მონიკა აბშილავა დააჯილდოვა.

კონკურსი ,,ააჟღერე კინომუსიკა", 25 მარტს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერითა და მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ორგანიზებით გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა 22-მა საჯარო და კერძო სკოლამ მიიღო.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, საბა ოდიშარიას, გადაწყვეტილებით, სენაკში მცხოვრებ, მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებს სააღდგომო ნობათი გადაეცა.

სოციალური აქციის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ინგა ქარდავამ, საკრებულოს ფრაქცია ,, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა გვიჩიამ და საკრებულოს წევრმა, მარინე ნანეიშვილმა, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ხანდაზმულებსა და მარჩენალდაკარგულებს, დამდეგი, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული მიულოცეს და მათ სააღდგომო პასკისგან, ტკბილეულისგან და სხვადასხვა სახის პროდუქტისაგან შემდგარი სადღესასწაულო ნობათი გადასცეს.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია, საქართველოს ტაეკვანდოს ICTF ფედერაციის პრეზიდენტს, ლაშა ჯოლოგუასა და ახალგაზრდა სპორტსმენებს შეხვდა.

20 აპრილს, უზბეკეთის დედაქალაქში, ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრი ტაეკვანდოში, სადაც მონაწილეობა მიიღეს 5 ქვეყნის წარმომადგენლებმა. საქართველოს ტაეკვანდოს ICTF ფედერაცია წარმოდგენილი იყო ოთხი სპორტსმენით. სარეიტინგო ბრძოლებში, სენაკელმა, ლუკა სიჭინავამ და ნიკოლოზ გაბედავამ ოქროს მედლები მოიპოვეს, ნიკოლოზ ლომაიამ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ხობელმა გიგი ბუკიამ პირველი ადგილი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის ფედერაციას, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან 2000 ლარი გადაეცა.

30 მარტს, ახალქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე, პროფესიონალურ კიკბოქსინგში სარეიტინგო ორთაბრძოლებში, პირველად ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში, ნიკოლოზ გაბედავამ და ნიკოლოზ შამათავამ, სხვადასხვა წონით კატეგორიაში საჩემპიონატო ქამრები მოიპოვეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, ფედერაციის პრეზიდენტსა და ახალგაზრდა სპორტსმენებს, მიღწეული წარმატებები მიულოცა და შემდგომ ტურნირებზე გამარჯვება უსურვა.

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის საკრებულოში (დასასრული)

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საბა ოდიშარია საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, ელისო შურღაიას ხელშეწყობით, არასაგაკვეთილო დროს, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს.

ამჯერად, საკრებულოს თავმჯდომარე, სკოლა-ლიცეუმის, ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, სკოლა-პელაგონის, სკოლა-მარიოტასა და აფხაზეთის N7 საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეებს შეხვდა. შეხვედრაზე, საუბარი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას შეეხო და კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მსგავსი ტიპის შეხვედრები, სენაკის სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთანაც გაიმართება.

***

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ზაზა ნაჭყებია, საკრებულოს სხდომათა დარბაზში, საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობას შეხვდა.

ახალგაზრდებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის შესახებ, მუნიციპალიტეტში მიმდინარე, განხორციელებულ და დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებზე.

კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართულ შეხვედრაზე, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობასთან შემდგომი თანამშრომლობისთვის, მზაობა კიდევ ერთხელ გამოითქვა.

საქართველოს სტუდენტური პარლამენტისა და მთავრობის ქალაქ სენაკის წარმომადგენლობა, მიმდინარე წლის 6 აპრილს ჩამოყალიბდა. წარმომადგენლობის თავმჯდომარეა ანრი სიჭინავა, მოადგილეები - ზუკა ლემონჯავა და ლიზი სახოკია. შექმნილია შესაბამისი კომიტეტები, რომელთაც სათავეში სენაკელი ახალგაზრდები უდგანან.

ინიციატივის მიზანია - ახალგაზრდებში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ლიდერული უნარების განვითარება და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების გაცნობა.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი
სპეციალისტი საინფორმაციო საკითხებში

გვჯერა, ფესვს აუცილებლად ამოიყრი და მეორე სიცოცხლით იარსებებ!

ჭადარი როგორც სიმბოლო

ქარიშხალმა ძველი სენაკის ცენტრში მდგარი 840 წლიანი ჭადარი გადაამტვრია.

სიცოცხლე დაასრულა ჭარმაგმა, მრავალ ჭირგამოვლილმა ბუმბერაზმა ხემ. ის ჭეშმარიტად იყო არა მხოლოდ სოფლის სავიზიტო ბარათი, კოლხური მრავალფეროვნების სიმბოლო და კოლორიტი .

30 მეტრიანი, ფუღუროიანი ჭადრის წაქცევა, საზოგადოებამ გულისტკივილით მიიღო: „ჭადრის ისტორია დასრულდა, ადამიანივით ვგლოვობთ!"

დიახ, წარსულის მემატიანეს გამძლეობამ უმტყუნა, მაისის ქარიან ღამეს ჩრდილოეთისკენ გადაქანდა და სამუდამოდ მიიძინა.

ეტყობა გაცვდა, სიცოცხლესთან განშორების ჟამი დაუდგა. იქნებ, თვალის დახუჭვა მოენატრა. აშარი ქარი მწედ გამოეცხადა და წადილი აისრულა ...

,,რაც იბადება ერთ დროს კვდებაო" ოხვრით დაწერა გულშემატკივარმა. ამგვარი სიტყვები მაბნევს, ტანში ჟრუანტელს მივლის, რადგან ჭადარი ჩემი ბავშვობის, ზრდასრულების და სიბერის სიცხადე და შთაგონება იყო.

რა არის ჩვენი სიცოცხლე? კითხვას, რომელსაც ყველა თავისებურად პასუხობს: ქართველი კაცი ამბობს, რა არის და, წუთისოფელიო. შექსპირს თეატრი ჰგონია, კალდერონს – სიზმარი, პუშკინს – თამაში, ფარაჯანოვი კი სრულიად ორიგინალურად ასკვნის – კოლაჟიო. რობერტ სტურუამ კი ყველაზე პრაგმატულად განჭვრიტა – ცხოვრება ბაზარიაო.

ალბათ ყველა მათგანი თავისებურად მართალია. არ ვიცი, ვინ არის ავტორი ფორმულისა "ცხოვრება ბრძოლაა!", მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ეს უკანასკნელი იქცა ჩვენი არსებობის პროგრამად. რაგინდ უარყოფითი დამოკიდებულებაც უნდა გქონდეს აღნიშნული ფორმულის მიმართ, ანონიმი ავტორის განსჯას აზრი არ აქვს, რადგან, თავის მხრივ, ისიც ცოცხალთა მოდგმის მკაცრი ცხოვრებისეული ლოგიკით ხელმძღვანელობდა.

ჭადარიც უტყვი, მაგრამ ხომ ცოცხალი არსება იყო? როგორც ადამიანს შეუძლია მიმიკით, ხელების მოძრაობით, სიარულით საუბარი და თავისი აზრის გამოხატვა თუ გაზიარება. ჭადარიც ტოტების მოძრაობით, ფოთლების შრიალით, მზისა და მთვარესადმი შეციცინებით გვამცნობდა საუკუნეთა საიდუმლოებას.

ფუღურო!

ფუღურო მისი სიდიადის თუ სიძველის სარკე გახლდათ. საოცნებო სავანე. ეს ბარაქა იმიტომ გაიჩინა, რომ ადამიანთა თავშესაფარად გაეხადა.

სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე იგონებს ძველი სენაკის სასწავლებელში სწავლისა და ცხოვრების ეპიზოდებს და ამბობს: ჩვენი მასპინძელი ყასაბი ნიკოლა ღორის ხორცს თავად ჭამდა და ჩვენ ძვლებს მოგვიგდებდა. ცოლ-შვილს ცემდა, ოჯახს აწიოკებდაო.

კონსტანტინე და მისი ძმა შიმშილსა და აყალმაყალს გამოერიდნენ და გამოიპარნენ, ის ღამე სკოლის გასწვრივ მდგარ უზარმაზარ ჭადრის ფუღუროში გაატარეს. დილით ტეხური ბორანით გადალახეს და აბაშისკენ მიმავალ თემშარას დაადგნენ.

მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი ალტაცებაში მოჰყავდა ჭადარს, როცა ჩაუვლიდა, ცხენს შეაჩერებდა და ნეტარებით უმზერდა

მართლაც, ჭადარი ხომ დღე მზეს შესციცინებდა, ღამე მთვარეს...

მინახავს ადამიანები, მეგობარივით ქუდს რომ იხდიდნენ და ესალმებოდნენ.

რა დროს რომანტიზმია, მაგრამ როგორ არ მოვიშველიო ქრესტომათიული პოეტური წინასწარმეტყველებანი: რომ „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, – დასაღვრელის ალბათ მაცნეა".

ჯერაც ვერ ვიჯერებ, მართლაც დასრულდა ჭადრის სიცოცხლე?

მოკვდა, გათავდა... არა და არა. ის უკვდავების ხვედრია.

მან თავისი ამქვეყნიური ჭარმაგი სიცოცხლით, სიუხვით, პატივითა და ძლიერებით მარადიულობა მოიპოვა.

როგორც არქეოპოლისის ციხე-სიმაგრე დაინგრა, მაგრამ მაინც დგას.

ვერ მივედი, ვერ ვნახე, ჭირისუფალივით ვერ გამოვხატე მწუხარება. მაპატიე, რომ წაქცეული, მიწაზე უსულოდ გართხმულის ნახვა ვერ შევძელი.

მართლა, მართლა ჩემმა მეორე მემ მისაყვედურა, როგორ არ მიხვედი თავდახრილი, როგორ არ იჭირისუფლე, უძრავსა და უტყვს ხელით ტანზე როგორ არ მიეფერეო.

ვერ გავბედე, ვერ გადავლახე შინაგანი წინააღმდეგობა.

მწყინს, რომ ჩემს წაქცევამდე წაიქეცი, მუხლმა გიმტყუნა.

მსურს ჩემში დარჩე ისეთი, როგორც 70 წელია გიცნობ, ცამდე ტანაყრილი, მზის მომზირალი, მხრებგაშლილად მოშრიალე და მარად სვებედნიერი...

მეც ზღაპრულ ძველ სენაკში დავიბადე და ავიდგი ფეხი. ჩემში, ჩემს შვილებში, რომლებთანაც ერთად ფუღუროში ვიმალებოდით, შვილიშვილებში, საერთოდ თაობებში დარჩები მეხსიერების ფასეულ განძად.

დაცემულ შენს ფოტოს არ შევინახავ ჩემს საიტზე. მსურს მახსოვდე, ისეთი, როგორიც ბრძანდებოდი, ამაყი, ფოტოგრაფებისა და მხატვრების მუზა.

ფესვს აუცილებლად ამოიყრი და მეორე სიცოცხლით იარსებებ.

ამის მჯერა.

ბორის დავითაია, მწერალი,
სენაკის საპატიო მოქალაქე

სპორტი

კრივი

ქუთაისის სპორტის სასახლეში, მოსწავლე მოკრივეთა შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ტურნირი 6 დღე მიმდინარეობდა.

გამარჯვებულები ვაჟთა შორის - 16, ხოლო გოგონათა შორის ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდა.

ტურნირი საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა. ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოკრივეებმა.

საქართველოს ჩემპიონის ტიტული ალექსი გუნიამ მოიპოვა (60კგ.) ნიკოლოზ ხოფერიამ (40 კგ.) და ჯონი ხაბურძანიამ (44კგ.) მესამე ადგილი დაიკავეს. მწვრთნელ-მასწავლებლები ილია ცაავა, ზაზა ხურცილავა და გიორგი კემულარია.

ვულოცავთ გამარჯვებას ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს და მწვრთნელებს. გვჯერა კიდევ ბევრჯერ გვასახელებენ.

მაგიდის ჩოგბურთი

13 მაისს, ქალაქ თბილისში სტუდფესტი 2025“-ის ფარგლებში გაიმართა ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

წარმატებით იასპარეზა სენაკელმა დავით გეგენავამ და პირველი ადგილი დაიკავა. მწვრთნელ-მასწავლებელი კობა ჩხიკვაძე.

ვულოცავთ დავით გეგენავას გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

მაია გერგაია

,,ქვეყნის უკეთესი მომავლის წინაპირობა"

ნომრის სტუმარია სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი, ქალბატონი ელისო შურღაია. იგი აფასებს განვლილ სასწავლო წელს. საუბრობს სკოლებში ჩატარებულ აქტივობებსა და მომავლის ამოცანებზე.

ჩემს რესპოდენტს, ქალბატონ ელისოს გააჩნია 33-წლიანი პედაგოგიური პრაქტიკული გამოცდილება. ის არის მენტორი მასწავლებელი.

წარმატებით ჩააბარა შემდეგი გამოცდები: 2007 და 2023 წლებში საჯარო სკოლის დირექტორის, 2011-2012 წლებში - მასწავლებლის სასერტიფიკაციო ბიოლოგიაში, ინგლისური-კომპიუტერის ინტეგრირებული, ბიოლოგიის ექსპერიმენტალური ნაწილი და ქიმიის საგნობრივი 2015წელს.

16-22 /09.2014 წ. სასწავლო ვიზიტით გაემგზავრა პოლონეთში, ქ. ვარშავაში კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში პროგრამით ,,საბუნებისმეტყველო კლუბების ჩამოყალიბება და განვითარება სასკოლო ქსელების შექმის გზით." კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი ყოველწლიურად მართავს ფორუმს, რომლის მიზანია საბუნებისმეტყველო საგნების პოპულარიზაცია. ამასთან, კოპერნიკის ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას.

ქალბატონმა ელისომ 2015 წლის თებერვალში მონაწილეობა მიიღო პროექტ "SPARE"–ს (ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი) მიერ გამოცხადებულ კონკურსში ,,შევინარჩუნოთ კლიმატი მარტივი ენერგეტიკული გადაწყვეტილებებით". საქართველოში პროექტის "SPARE" კონკურსის ეროვნული ეტაპის დონეზე გაიმარჯვა და გაემგზავრა ტიანშანის მთებზე მოწყობილ საერთაშორისო საზაფხულო ბანაკში.

2020 წლიდან არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის პროექტის კოორდინატორი .

2019-2020 ს/წ იყო სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების ექსპერტი, ასევე 2020 წლიდან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების სპეციალისტი (ქიმიის მიმართულებით) .

ქალბატონი ელისო არის X და XI კლასების ქიმიის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს თანაავტორი, გამამოცემლობა ,, ინტელექტი"(2022 და 2023 წ.).

არის შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ,,მეცნიერება იწყება სკოლიდან - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" გამარჯვებული პროექტით - ,,რატომაა საკვები ფერადი?"(2022წ.).

არის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივი ექსპერტი.

არის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

რა ფუნქცია აკისრია საგანმანათლებლო რესურსცენტრს და რას უზრუნველყოფს იგი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე?

საგანმანათლებლო რესურსცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სამინისტროს დებულებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების საფუძველზე. იგი სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე პროცესებში მხარდაჭერასა და კონსულტირებას. თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგს, შეფასებასა და შესაბამისი ანგარიშების წარდგენას.

როგორია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა და კადრები?

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვაქვს ახლად რეაბილიტირებული სკოლები — სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქალაქ სენაკის №2 საჯარო სკოლა, სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი სენაკის საჯარო სკოლა, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ფოცხოს საჯარო სკოლა, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ უშაფათის საჯარო სკოლა, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა და სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირის საჯარო სკოლა.

თუმცა სკოლების უმეტესობა, სოფელსა თუ ქალაქში, საჭიროებენ სრულ თუ ნაწილობრივ ინფრასტრუქტურულ რეაბილიტაციას.

როგორც ხელმძღვანელი თვლით თუ არა რომ სკოლებში საჭიროა პედაგოგთა კორპუსის განახლება და რას აკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრა მასწავლებელი შეემატოს სკოლებს?

როგორც ხელმძღვანელი, ვთვლი რომ სკოლებში საჭიროა პედაგოგთა კორპუსის განახლება, მეტი ინოვაციის დანერგვა, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა თუ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისთვის.

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ თქვენი ხელმძღვანელად მოსვლის შემდეგ სკოლებში ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა, კონკურსი, სპორტული ღონისძიება, მიგაჩნიათ თუ არა რომ ამ საქმეში განმსაზღვრელია ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, მისი შემოქმედებითი უნარი?

ყოველი აქტივობა, კონკურსი, სპორტული ღონისძიება ემსახურება თითოეული მოსწავლისა თუ მასწავლებლის შემოქმედებითი უნარების გამოვლენას. სასწავლო პროცესი მეტად საინტერესო და სახალისო ხდება, ძლიერდება კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, შესაბამისი აქტივობებითა და კონკურსებით ხელს ვუწყობთ არაფორმალური განათლების განვითარებას. რა თქმა უნდა, ამ საქმეში განმსაზღვრელია ხელმძღვანელის როლი, რამდენადაც კრეატიული, ინოვატორი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონეა ხელმძღვანელი, იმდენად დიდია და ხარისხიანია სკოლების ჩართულობა საგანმანათლებლო აქტივობებსა თუ ღონისძიებებში.

ქალბატონო ელისო, სკოლებში ბოლო ზარი დაირეკა, რას უსურვებთ კურსდამთავრებულებს და აბიტურიენტებს?

ყველა კურსდამთავრებულს ვუსურვებ წარმატებას, სასურველ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე მოხვედრას და შემდეგ მიღებული ცოდნისა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზებას. თვითრეალიზებული ადამიანები ქმნიან ჯანსაღ, კონკურენტუნარიან გარემოს, რაც ქვეყნის უკეთესი მომავლის წინაპირობაა.

მედეა გალაშურია

ცნობიერისა და არაცნობიერი ფსიქიკურის გამოჩენილი მკვლევარი

ქართველი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი აპოლონ ეპიფანეს ძე შეროზია დაიბადა 1927 წლის 23 ივნისს, სენაკის მუნიციპალიტეტის ულამაზეს სოფელ უშაფათში. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფილოსოფიის განყოფილება. სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1955-1960 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტში, ხოლო 1960-1981 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარალელურად იყო დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი. სამეცნიერო-პედაგოგიურთან ერთად ეწეოდა საორგანიზაციო-ლიტერატურულ საქმიანობასაც. კერძოდ, განაგებდა საქართველოს ენციკლოპედიის ფილოსოფიის რედაქციას. 1967 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელად, თემაზე – ,,ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის ფილოსოფიური პრობლემისათვის (გამოკვლევის ცდა განწყობის ფსიქოლოგიის მონაცემების საფუძველზე)".

1968 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოანალიზის აკადემიის წევრი (1980 წლიდან), ამავე აკადემიის ინტერნაციონალური ჟურნალის მთავარი რედკოლეგიისა (1979 წლიდან) და სამეცნიერო საბჭოს წევრი (1980 წლიდან), დინამიკური ფსიქიატრიის მსოფლიო ასოციაციის დამფუძნებელი წევრი და რეგიონული თავმჯდომარე (1980 წლიდან). მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გერმანიის ფსიქოანალიზის ასოციაციამ ა. შეროზია ოქროს მედლით დააჯილდოვა (გარდაცვალების შემდეგ). შეროზია გარდაიცვალა 1981 წლის 12 ივნისს, 53 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში.

აპოლონ შეროზიას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ქართული ფილოსოფიის ისტორიის კვლევით დაიწყო. 1963 წელს რუსულ ენაზე გამოვიდა აპოლონ შეროზიას 300-გვერდიანი მონოგრაფია – "Философская мысль в Грузии в первой четверти XX века". აღნიშნული მონოგრაფია ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძირითადი ასპექტებისა და ტენდენციების მეცნიერული განხილვის პირველ ცდას წარმოადგენს. ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ამ ურთულეს პერიოდში თავი იჩინა ეპოქის ყველა იდეოლოგიურმა წინააღმდეგობამ. ადგილი ჰქონდა აზრთა მძაფრ დაპირისპირებას მიმდინარეობებს შორის და არა მხოლოდ, არამედ თითოეული ამ მიმდინარეობის შიგნითაც.

ა. შეროზია მონოგრაფიის შესავალში მკაფიოდ აყალიბებს თვალსაზრისს საქართველოში მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე და ოთხ ძირითად პერიოდს გამოყოფს: 1. XIX ს-ის 80-იანი წლები, როცა მარქსისტული ფილოსოფია მეცნიერული დისკუსიის საგანს წარმოადგენდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წრეში; 2. იმავე საუკუნის 90-იანი წლები, როცა ფილოსოფია უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოპოზიციური მიმდინარეობის როლშია; 3. XX საუკუნის I მეოთხედი, როცა მარქსისტული ფილოსოფია უკვე მოქმედების ფილოსოფიას წარმოადგენს; 4. XX საუკუნის I მეოთხედიდან 60-იან წლებამდე, როცა მარქსისტული ფილოსოფია გაბატონებულ მსოფლმხედველობად იქცა. საკვლევი პერიოდის ოფიციალური ქართული ფილოსოფიური აზროვნების ყოველი ძირითადი მიმდინარეობის (როგორც მატერიალისტურის, ისე იდეალისტურის) – თავისებურებას დიალექტიკურ მატერიალიზმთან მისი დამოკიდებულება განსაზღვრავდა.

მკვლევარი საგანგებოდ მსჯელობს შალვა ნუცუბიძის ალეთოლოგიის გნოსეოლოგიურ და დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიურ თეორიებზე. პირველ შემთხვევაში მკვლევარი დაინტერესებულია ტრანსსუბიექტურობის პრობლემების კვლევით შემეცნების თეორიაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – არაცნობიერის პრობლემით ფსიქოლოგიაში. ,,ორივე თეორიის ძირითადი ასპექტების განხილვა ა. შეროზიას პრინციპულ სიმაღლემდე აყავს. მასთან ჩვენ პირველად ვხვდებით ამ თეორიების ამოსავალი პოსტულატების ფორმირების ფილოსოფიურ ანალიზს", – წერს ამ წიგნის შესახებ რეცენზენტი (ვ. ქვაჩახია, მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე. ჟ. ,,მნათობი", №1, 1965, გვ. 185).

წიგნის III თავში შესწავლილია სრულიად შეუსწავლელი საკითხი – XX საუკუნის I მეოთხედის ქართველ პუბლიცისტთა ეთიკური, ესთეტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის, როგორც მეტაფიზიკური თეორიების დაპირისპირების ჭრილში. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ეს იყო მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის სპეციფიკური ფორმა. შრომის IV თავში სრულიად ახლებურად არის განხილული სოციოლოგიური აზრის განვითარების ძირითადი ასპექტები XX საუკუნის I მეოთხედის საქართველოში. ,,ა. შეროზიას მონოგრაფიის სახით ჩვენ საქმე გვაქვს მეტად საყურადღებო გამოკვლევასთან, რომელსაც უდაოდ მნიშნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერული დამუშავების საქმეში" (ვ. ქვაჩახია, იქვე, გვ. 187).

აპოლონ შეროზიას სამეცნიერო ინტერესების ძირითად სფეროს ქართული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებთან ერთად განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის ფილოსოფიური საფუძვლები წარმოადგენდა. ამ პრობლემის შესწავლას მან ორტომიან გამოკვლევაში აისახა.

მიჩნეულია, რომ აპოლონ შეროზიას მეცნიერული მოღვაწეობა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მამამთავრის – დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული ,,განწყობის თეორიის" განვითარების გზას წარმოადგენს. განწყობის თეორია ესაა ქცევის გარკვეული ფორმისადმი ინდივიდის წინასწარი მზაობის მდგომარეობის, ანუ განწყობის, ქცევის მიზანშეწონილობის ასახსნელად შემუშავებული და ჩამოყალიბებული ორიგინალური თეორია, რომლის შესწავლის აუცილებლობაც ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის განვითარების ადრეულ საფეხურზევე წამოიჭრა. განწყობის თეორია გულისხმობს სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში მყოფი ინდივიდის, როგორც მთლიანობის, მიერ რაიმე ქცევის განხორციელებას. ამასთანავე, ა. შეროზიამ პირველად ჩამოაყალიბა უაღრესად მნიშვნელოვანი აზრი, რომლითაც გაირკვა განწყობის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და გაურკვეველი საკითხი აქტუალური განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთმიმართების შესახებ. ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაცია გულისხმობს აქტუალურ განწყობაში ერთ-ერთ მდგენელად ჩართვას. მთლიანობითი ბუნებისა მხოლოდ აქტუალური განწყობაა, ხოლო ფიქსირებული კერძო მოდალობისაა: ,,არაფიქსირებული, ერთიანი განწყობა თავისთავში იღებს ცალკეულ მოდალობებში ფიქსირებულ, კერძო განწყობათა მთელ სისტემას, ვითარც აუცილებელს ინდივიდის ყველა მდგომარეობის მოდიფიკაციისთვის".

ქართული ფსიქოლოგიის ისტორიის განვითარებაში სპეციალისტები ხუთ პერიოდს გამოყოფენ: 1. განწყობის ფსიქოლოგიის აღმოცენების წინარე პერიოდს; 2. განწყობის თეორიის ფორმირებისა და განვითარების პერიოდს; 3. დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდს; 4. კრიზისის პერიოდს და 5. აღორძინების პერიოდს.

იგორ კეკელია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

არქიმანდრიტი მელქისედეკი 80 წლისაა

ქრისტე აღსდგა!

მწყემსო კეთილო! მამაო მელქისედეკ!

დღეს ის მომენტია, როდესაც ბრძენის შეგონება ,,დუმილი ოქროა" - ჩვენთვის მიუღებელია!

ჯერ არცერთ სანყაოზე არ აწონილა ოქრო, რომელიც ჩვენს თქვენდამი დამოკიდებულებას აწონიდა.

მომიტევეთ სიტყვა მრავლობა, მაგრამ თქვენი შენდობის იმედით უნდა გითხრათ ჩვენი სათქმელი. უფალს ვმადლობთ, რომ თქვენი სახით მოგვივლინა სულიერი მოძღვარი, რომელიც ჭეშმარიტების გზით ცდილობს ჩვენს ტარებას.

ჩვენ (თქვენი სულიერი შვილები) წუთისოფლის ორომტრიალში ჩაბმულ-ჩაფლულნი, ხშირად ვერ ვახერხებთ ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრებით, თქვენი დამოძღვრითა და დარიგებით ისე ვიაროთ, როგორც თქვენ სისპეტაკეს და მამობრივ ზრუნვას ეკადრება. თქვენი იობისეული მოთმინება, უსაყვედურო და დაუმადლებელი ლოცვა-კურთხევა ყველაზე გზააბნეულ და მცირედმორწმუნე მრევლის წევრსაც კი მოაქცევს ჭეშმარიტი გზისკენ.

ყველა შვილს თავისებურად უყვარს მშობელი! მშობელს კი უპირობოდ თავისი პირმშო და აქ განსაკუთრებული არაფერია. ეს ბუნების კანონად ითვლება.

თქვენ კი უპირობოდ და განურჩევლად, ღვთიური მადლით მოსილს გიყვართ თქვენი სამწყსო, მომიტევეთ მამაო!

ეს ჩვენ, თქვენს სულიერ შვილებს, გვეჩვენება ასე, თორემ თქვენი გული, უფლის მადლით აღვსილი, მთელი კაცობრიობის სიყვარულს იტევს.

რომ არ გამიგრძელდეს და მეტი შეცდომა არ დავუშვა მოკლედ მინდა გითხრათ: უფალი სიყვარულია, უფალი ჭირთა დათმენაა, უფალი შენდობაა, უფალი მოწყალებაა, უფალი სიკეთე და სათნოებაა . . . და კიდევ უამრავი რამ, რაც სამყაროს ამოუცნობ ბრუნვას აკეთილშობილებს. ამას თქვენ გვასწავლით და გვიქადაგებთ. გვიქადაგებთ, იმიტომ რომ ყოველივე თქვენშია თავმოყრილი. კიდევ ბევრი სათნოებაა თქვენს არსებაში, მაგრამ ჩვენი ცოდვილი სული მხოლოდ ამბიონზე საქადაგოდ გამოსულ სხივმფენ მამა მელქისედეკს ხედავს და უფრო შორს ვერ მიდის.

მამაო მელქისედეკ! ჩვენო კეთილო მწყემსო! გილოცავთ უფლისგან ბოძებულ 80 წლის იუბილეს!

უფალს შევთხოვთ კიდევ დიდხანს ჯანმრთელად და მხნედ გვიმყოფოს ამ წუთისოფელში ჩვენი მოძღვარი!

მამაო! გ ვ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ !

ლია ღვამგერია

,,აქედანა და შენამდე"

ყოველი თაობა მომდევნო თაობის მტკიცე საყრდენი და მყარი საძირკველია, ის ფუნდამენტია, რომელზეც ყოველ მომდევნო თაობას შეუძლია გააზრებულად თავისი გეგმები შეკრას, გზა გაგრძელოს, მომავალი დაგეგმოს, რათა შემდგომში თავადაც იქცეს საყრდენად ახალი თაობისთვის. ეს კანონზომიერი წრებრუნვა განახლების, განვითარების, წარმატებების, მიღწევების... საწინდარია და რადგანაც მესაძირკველე ყოველთვის მამათა თაობაა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დულაბს ოჯახი წარმოადგენს, მოდით ეს თემა გავშალოთ ოჯახთან, რათა შთამომავლობას დავანახოთ გენეტიკური ბმა ბიოლოგიურთან ერთად ინტელექტუალური, შემოქმედებითი, განათლებაზე, ტრადიციაზე, ეროვნულ მენტალობაზე, ღირებულებაზე ორიენტირებული... სწორედ ამ რაკურსით ვიწყებთ ახალ რუბრიკას ,,აქედანა და შენამდე", სადაც წარმოგიდგენთ ოჯახებს ჩვენი წარსულიდან თუ აწმყოდან.

სასიკეთო საქმეების კეთებაში განვლილი წლები

რუბრიკას აწ.განსვენებული ერმილე მხეიძის გახსენებით ვიწყებთ, რომლის შესახებ მისი ქალიშვილი ნათელა მხეიძე მოგვიყვება. თავად ნათელა 1936 წელს დაიბადა. დამთავრებული აქვს მოსკოვში კოპერატიული ინსტიტუტი ეკონომიკური მიმართულებით. თავიდან რაიკავშირში მუშაობდა მთავარ ბუღალტრად, შემდეგ ეკონომისტად, ბოლოს რევიზორ-ბუღალტრად. გარკვეული წლების შემდეგ იგივე პოსტზე ქალაქვაჭრობაში გააგრძელა საქმიანობა. მისი მეუღლე ალიოშა გვასალია, პროფესიით იურისტია(ვიცეპოლკოვნიკი). ორთავეს კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მიღებული აქვთ საპატიო ჯილდოები (მედლები და სიგელები). ჰყავთ ორი ვაჟი და ქალიშვილი. სამივე უმაღლესი განათლებითაა და ჰყავთ ოჯახები.

შრომის სიყვარული, პროფესიული უნარების პატივისცემა, საქმის ერთგულება. . . ქალბატონმა ნათელამ მამისგან შეისისხლხორცა. ერმილე მხეიძე იმ პერიოდში გამორჩეული პიროვნება, მეურნე, მეოჯახე და რაც მთავარია პროფესიონალური უნარ-ჩვევებით გამორჩეული პიროვნება ყოფილა. მასზე წერდნენ პრესაში, ხდებოდა მისი გამოცდილებების გაზიარება, მის მიერ გამოყვანილი ჯიშების გავრცელება და ა.შ. აი რა გვიამბო ქალბატონმა ნათელამ.

მამაჩემი ერმილე მხეიძე დაიბადა 1894 წლის 8 აპრილს გეგეჭკორის რაიონ სოფელ გურძემში. 1905 წელს მშობლები საცხოვრებლად გადმოსულან სენაკში, სოფელ ახალსოფელში.

1921 წელს მამას ცოლად შეურთავს ოლია (მარდალი) ხელაია, პროფესიით მეტეოროლოგი, რომელიც გახლდათ რწმენისა და თავის ხალხის სიყვარულისათვის წამებული კათოლიკოს-პატრიარქის, შემდგომში კი მადლიერი თანამემამულეების მიერ წმინდანად აღიარებული ამბროსი ხელაიას საყვარელი ძმისწული. კატორღიდან გამოგზავნილ მის წერილებს დედა სათუთად ინახავდა. საბჭოთა წყობილების დამყარებისას მამას უკვე შეძლებული ოჯახი ჰქონდა და კულაკთა ,,შავ სიაში" მოხვდა. მიუხედავად განკულაკებისა მამა მაინც პირველი შევიდა კოლექტივში და თავისი შრომით უდიდესი წვლილი შეიტანა კოლმეურნეობის განმტკიცების საქმეში.

ამ პერიოდში ერმილე მხეიძე ახალსოფლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა სენაკში (დღევანდელ ფალიაშვილის ქუჩაზე), იქ ხრიოკ ადგილზე აირჩია სამოსახლო და საკუთარი ხელით გამომწვარი აგურითა და კირით თვითონ საკუთარი ხელითვე აიშენა ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გაასუფთავა ეზო ქვა-ღორღისაგან და წესრიგში მოიყვანა თავისი მეურნეობა. მისი ეზო თანდათან ხდება მინი საცდელი მეურნეობა, სადაც თვითონ გამოჰყავდა და ცდიდა სხვადასხვა ჯიშის მცენარეებს და როგორც პრაქტიკოსმა კოლმეურნემ, სწორედ აქ გამოავლინა თავისი ნიჭი და უნარი, რითაც დიდი აღიარება მოიპოვა. დიდხანს მუშაობდა ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ხეხილის სანერგის გამგედ. გამოჰყავდა ციტრუსების და სხვადასხვა ხეხილის ნერგები. საინტერესოა მისი წვლილი ყინვაგამძლე ციტრუსოვანთა ჯიშის გამოყვანაში.

1936 წლიდან ყოველწლიურად მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობდა. 1939 წელს კი მან, შეიძლება ითქვას, მსოფლიო რეკორდი დაამყარა ევკალიპტის ნერგების გამოყვანაში, რაც იმ პერიოდის პრესაში ფართოდ შუქდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე მამა დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით, საპატიო სიგელით და დიპლომით. მას ახალსოფლის კოლმეურნეობაში ხეხილის ნერგების გამოყვანით და რეალიზაციით ათეული ათასობით მანეთი შეჰქონდა, რაც რეალურ ზეგავლენას ახდენდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე. როცა სხვა კოლმეურნეობებში შრომადღეზე თითო კგ სიმინდს არიგებდნენ, ახალისოფლის კოლმეურნეობაში სიმინდთან ერთად განსაზღვრული ფულადი ანაზღაურებაც ჰქონდათ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲮᲐᲠᲝᲑᲡ ᲔᲠᲛᲘᲚᲔ

გაზეთი ,,კოლხეთი", 1966 წ.

1941-45 წლებში მამა დიდ სამამულო ომში იქნა გაწვეული. იბრძოდა ქერჩში, სადაც მძიმედ დაიჭრა, შემდგომ დემობილიზებულ იქნა.

1947 წლიდან საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და სენაკის რაიონული კომიტეტის დავალებით ერმილე მხეიძე იწყებს ახალი ხეხილის ნერგების გამოყვანას გორაკის (რომელიც დღესაც საფუნიკულიოროდ იწოდება, მხოლოდ მშენებლობა კი დაკონსერვებულია) ფერდობებზე და დაბლობზე. აქ გააკეთა ევკალიპტის ნერგების გამოსაყვანი ორანჟერეა და დაასაქმა რამდენიმე ასეული ადამიანი. სვანეთიდან ჩამოიყვანა 50 კარგი მუშა და მათი დახმარებით გორაკზე გააკეთა ტერასები, სადაც გააშენა და დარგო ციტრუსები: მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი. ზედა მხარეს გორაკზე ტრაქტორით მიწა გადახნა, გაასწორა, გააფართოვა და მთლიანად ნაძვის ხეები დარგო, სადაც ჩაფიქრებული ქონდა სენაკის ცენტრიდან გაეკეთებინა საბაგირო გზა.

ამ მთის ქვედა მხარეს გააკეთა აუზი თევზების მოსაშენებლად. აქვე ფეხბურთის სათამაშო სტადიონი მოაწყო, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი თუ მეზობელი რაიონიდან მოსული ფეხბურთელები.

1955-56 წლებში ეკის მთიდან გამოიყვანა წყაროს წყალი, რომელსაც ხმარობდა ქუთაისის ზემო, ფალიაშვილის, თბილისის, გაგარინის, ბაქოს ქუჩების მოსახლეობა.

უნდა ავღნიშნო ის, რომ მამას ზემოაღნიშნულ საქმის შესრულებაში ხელს უწყობდნენ იმ დროინდელი სენაკის რაიონის რაიკომის მდივანი ვალიკო გუგუნავა და რაიაღმასკომის თავმჯდომარე დათიკო ბაღათურია.

ჩვენი ეზო აღრიცხული იყო როგორც სანიმუშო საცდელი მეურნეობა. არ არსებობდა მცენარე აქ რომ არ გენახათ: ჩაი, ბამბა, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფუტი, ციტრო, ვაშლი, მჭადისმჭადი, ღომისღომი, მსხალი, სხვადასხვა ჯიშის ვენახი.

მამას გაშენებულია სალომიოსა და საქაჩიბაიოს მთებში ციტრუსოვანი მცენარეები და ევკალიპტები, მას მეორე მიჩურინს უწოდებდნენ.

1955-56 წლებში მან ჩვენს საცხოვრებელ სახლში ამომავალი ბილიკი 106 საფეხურიანი კიბით შეცვალა, თავისი შრომითა და საკუთარი ფულადი სახსრებით, რითაც ბაქოს, ფალიაშვილის ქუჩა და ძმათა სასაფლაო ერთმანეთს დაუკავშირა.

ასე თავის საქმესა და მშობლიურ ქალაქზე შეყვარებულმა მამამ შრომასა და გარჯაში, სასიკეთო საქმეების კეთებაში გალია წუთისოფელი.

ჩვენი დღევანდელი წერილის მთავარი გმირი იყო ერმილე მხეიძე, მთავარი თემა ოჯახი, ხოლო მთავარი სათქმელი ,,თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია". დიახ, ამ შემთხვევაში ერმილე მხეიძე გამოდგა ის საყრდენი საძირკველი, რომელზეც აღმოცენებულმა შთამომავლობამ მი-

სი გზა ღირსეულად გააგრძელა. მას სულ 5 შვილი ჰყოლია: შოთა, ვენერა, ასპირო, ეთერი და ნათელა. უფროსმა ვაჟმა შოთამ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და აგრონომის სპეციალობით ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას. ვენერა ბუღალტერი გახდა, ჰყავს ქალ-ვაჟი - სვეტლანა და მიხეილი. ქალიშვილი იურისტია, ვაჟი კი ინჟინერი, ორივე დაოჯახებულია. მიხეილი ცხოვრობს ამერიკაში. ხოლო ეთერიმ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის განხრით. მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხანაში. შეეძინა ქალიშვილი მანანა.ასპირო ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. რაც შეეხება ნათელას, მასზე თავში მოგახსენეთ, დავამატებ იმას, რომ მან ბავშვობიდან შეიყვარა მამის პროფესია და 6 წლის ასაკში უკვე მყნობა იცოდა. ,,მამას ვეჯიბრებოდი მყნობასა და ახალი ჯიშის ხეხილის გამოყვანაშიო". მეოთხე კლასში იყო როცა სკოლის ნორჩ-ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი გახდა. მამის გორაკზე ცალკე გამოყოფილ ნაკვეთზე მოსწავლეებთან ერთად ამუშავებდა მიწას, მცენარეებს --- თესდა, გახარებულ ნერგებს ამყნობდა... სისტემატურად მონაწილეობდა რაიონულ თუ რესპუბლიკურ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში. აქვს საპატიო ჯილდოები და სიგელები.

ერთიც: საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ერმილე მხეიძის შთამომავლებში კათოლიკოს პატრიარქის, შემდგომში წმინდანად შერაცხული ამბროსი ხელაიას გენეტიკური კოდიც რომ ფიგურირებს.

დარწმუნებული ვართ ერმილეს შვილთაშვილებშიც გაგრძელდება მისი კაიკაცობის, პროფესიონალიზმისა და ოჯახური ტრადიციების ხაზი, რომელიც ჩვენში ყოველთვის პატივდებული იყო.

ნინო სართანია

ხსოვნა

რეზო ავალიანი

გარდაიცვალა მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი, სენაკის რაიონის სოფელ ხორშში დაბადებული, რომელმაც სწავლა გააგრძელა ქალაქ სოხუმში - საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. სწავლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

პროფესორი რევაზ ავალიანი სხვათა ნიჭის დამფასებელი და ახალგაზრდა თაობის სწორ გზაზე დამყენებელი ადამიანი გახლდათ. მისი ღვაწლი სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულში ფასდაუდებელია. ქვეყნის პატრიოტს ეამაყებოდა ქართველობა, უდიდეს სითბოსა და სიყვარულს ატარებდა გულით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისადმი, მშობლიური ქალაქისა და სენაკელთა მიმართ. ფიზიკურად დახვეწილი, განუმეორებელი თამადა, შესანიშნავი პიროვნება მოწიწებით განაწყობდა მის მიმართ ადამიანებს. მან თავისი ცხოვრების წესით უბადლოდ იცხოვრა ამ წუთისოფელში, იყო გაჭირვების ტალკვესი, უკეთილშობილესი პიროვნება, ამიტომ მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა დიდი განსაცდელი მოუვლინა ბატონ რეზოს, ავტოკატასტროფაში დაეღუპა ერთად ორი ვაჟიშვილი. მიუხედავად ამ დიდი ტრაგედიისა დარჩა პიროვნებად, რომელმაც იცხოვრა სწორად და თავის შთამომავლობას დაუტოვა კაცური კაცის სახელი.

ჩვენ მისი თანაკურსელები და კოლეგები სინანულს გამოვთქვამთ მისი გარდაცვალების გამო.

კაცს რომელიც დააკლდა ქვეყანას, ქალაქს, სამეგობროს, უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

თანაკურსელების სახელით:
ნელი ხორავა, არმან თოდუა,
ტარიელ დგებუაძე,
რეზო ჭითავა.

9 მაისი - გამარჯვების პედესტალი!

1941 წ. ვოლხოვის ფრონტის წინა ხაზი. ბოძზე იაკიმე გვასალია, ბოძთან გიორგი გარუჩავა და ალექსანდრე შუსტიცკი

80 წელი გავიდა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი და სისხლისმღვრელი ომის დასრულებიდან - რვა ათეულმა წელმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად იქუხა მეორე მსოფლიო ომის საშინელმა ექომ, დროის აღნიშნული მონაკვეთი გვაძლევს საშუალებას სრულად შევაფასოდ იმ მეომართა უკვდავი გმირობა, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენი ქვეყნის მშვიდობის დაცვის სადარაჯოზე.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახნენ ორი, ერთმანეთისაგან სოციალურად და ეკონომიკურად სრულად განსხვავებული (ფაშიზმი და სოციალიზმი) სისტემების მქონე სახელმწიფოები - საბჭოთა კავშირი და გერმანია.

აღნიშნულ ომში, იმ დროისთვის მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა ოთხმოცი პროცენტი მონაწილეობდა. სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა ევრაზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე და ყველა ოკეანის წყლებში. ,,სამამულო ომში", საბჭოთა კავშირში შემავალი სხვადასხვა მოკავშირე სახელმწიფოს შვილებთან ერთად, 700 000 ქართველი მეომარი იბრძოდა, რომლებმაც აჩვენეს გმირობის, ვაჟკაცობისა და თავდადების იშვიათი მაგალითები. 300 000 ქართველი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე, ხოლო ათასობით ჩვენი თანამოქალაქე, მთავარსარდლის მიერ მინიჭებული უმაღლესი ხარისხის ჯილდოებით მკერდდამშვენებულნი, დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. ჩვენი ქალაქის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომში გმირული შემართებით იბრძოდა 6 000-მდე სენაკელი, მამაცური მხედრული ქმედებებით თავი ისახელეს, მაგრამ გამარჯვება ვერ იზეიმა 3 171 - მა მეომარმა, ცოცხლად დარჩენილთა შორის 1 900-ზე მეტი მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

სენაკში, სოფელ მენჯში აღმართულია, ბრძოლის ველზე დაცემულ მეომართა უკვდავსაყოფად ,,შინმოუსვლელთა მემორიალი".

საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის მომენტიდან (1941 წლის 22 ივნისი), ბაბუაჩემი გიორგი გარუჩავა მეორე მსოფლიო ომის მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩნდა - მახსოვს მისი მონათხრობიდან, თუ როგორ დაირღვა საერთაშორისო წესრიგი მდინარე ნემანის ნაპირებზე, სადაც გერმანელი და საბჭოთა სამხედროები ერთად ტკბებოდნენ ჰიტლერსა და სტალინს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ხანმოკლე შედეგებით . . . ასე აღმოჩნდა ბაბუაჩემი ჩრდილოეთის ფრონტზე, რა დროსაც ლენინგრადის (დღევანდელი პეტერბურგი) ბლოკადით გამოწვეულ მძიმე და სახიფათო მოვლენების უშუალო მონაწილე და ისტორიის დამწერი შეიქნა. იგი იბრძოდა ფრონტის ჩრდილოეთ ხაზზე, ვოლხოვის დაჯგუფებაში.

- ფაშისტური გერმანიის არმიის ჯგუფი ,,ჩრდილოეთი"-ის (4 სატანკო ჯგუფი, მე-18 და 16-ე არმიები) და ფინეთის

,,კოლხეთი" №52. 1985წ.

ორი არმიის მიერ საალყო რკალში იქნა მოქცეული ქალაქი ლენინგრადი, ალყის ჩრდილოეთ რკალს ქმნიდა ფინური არმია კარელიის ყელის საზღვრამდე, სამხრეთ-აღმოსავლეთს კი - ფაშისტური გერმანიის ჯგუფი ,,ჩრდილოეთი". საალყო ოპერაციას სარდლობდა ვერმახტის გენერალი ფონ ლეები... ლენინგრადი ბლოკირებული იყო თითქმის 900 დღე.. 1941 წლის ნოემბერში, საბჭოთა ჯარებმა მოახერხეს და ლადოგის ტბის 36 კილომეტრიან გაყინულ მონაკვეთზე საავტომობილო გზა გაიყვანეს, რომელიც გახდა ერთადერთი მცირე სასიცოცხლო არტერია ქალაქის მოსამარაგებლად, მიუხედავად ამისა მან ვერ იხსნა ქალაქის მოსახლეობა მასობრივი შიმშილისგან. ლენინგრადის ბლოკადის ნაწილობრივი გარღვევა მოხერხდა 1943 წლის 12-30 იანვრის შუალედში, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ვოლხოვის ფრონტი, სადაც იბრძოდა ბაბუაჩემი -

პავლე ბობკოვი, ბაბუაჩემის - გიორგი გარუჩავას ფრონტის მეგობართა იმ რჩეულ ,,გმირს" წარმოადგენდა, რომელიც ,,განსაცდელსა შინა შეიცნობის", დიახ, ამ გამონათქვამის სრული ხორცშესხმა განხორციელდა მის ქმედებებში - გიორგი გარუჩავა და ამხანაგი ბობკოვი მონაწილეობდნენ ლენინგრადის ბლოკადიდან განთავისუფლებისთვის წარმოებულ გამანადგურებელ ბრძოლებში, მათ ლადოგის ყინულოვან ტრასაზე (სიცოცხლის გზა), ერთადერთ მცირე სალოჯისტიკო არტერიაზე გავლით გადაყავდათ ევაკუირებული ბავშვები და ქალები დიდ მიწაზე... შემდეგ თავად მოექცნენ რკალში, ფაშისტებმა ტიხვინთან მიიმწყვდიეს პოლკი. მეგობრები ხანგრძლივი შიმშილის, წყურვილის, ავადმყოფობების, შეიარაღებული დაპირისპირების ჯოჯოხეთური წრიდან მხარდამხარ გვერდში დგომით, თავაწეულები გამოვიდნენ... საბოლოოდ ლენინგრადი გათავისუფლდა მომაკვდინებელი ალყიდან... შემდეგ დაიწყო დიდი შეტევა ,,აღმოსავლეთ ევროპის" მიმართულებით, პავლე ბობკოვი და გიორგი გარუჩავა ერთად არიან და აქტიურად მონაწილეობენ ნოვგოროდისა და ლატვიის განთავისუფლებისათვის წარმოებულ სწორუპოვარ ბრძოლებში. ომის დაუწერელმა კანონებმა განუყრელი მეგობრები ერთმანეთს დააშორა - ლატვიის დედაქალაქ რიგის აღებისას ბაბუაჩემი მძიმედ დაიჭრა და ჩამოსცილდა თანაპოლკელებს. გამოჯამრთელების შემდეგ იყო დრეზდენისა და ლაიფციგის ფაშისტებისაგან განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლები, ისევ დაჭრა და გამოჯამრთელება, ისევ ჰოსპიტლის დახუთული ჰაერი... ბედი დარაჯად ედგა გიორგის ხიფათებით აღსავსე გზას, შორიდან ეთამაშებოდა სიკვდილს და კვლავ მეწინავე ხაზზე ბრუნდებოდა ჯილდოებით მკერდდაშვენებული...

,,კოლხეთი" №55. 1967წ.

9 მაისი ჩემთვის ისტორიის განცდაცაა და ტკივილიც, ვინაიდან ის აღვიძებს ჩემში ბაბუაჩემის მონატრებას, იმ ატმოსფეროს, რომელიც საოცარ წარმოდგენად დარჩა ჩემი ბავშვობის მეხსიერებას,

,,კოლხეთი" №56. 1972წ.

მახსოვს ყოველი ,,გამარჯვების დღის" დილა, სახლში ფუსფუსი, გაჟღენთილი სადღესასწაულო ნეტარებით. 9 მაისის მნიშვნელობას ვერც ჩემი შეფასებით შევძენ სიდიადეს და ვერც მის აქტუალურობას გავუწევ დიდ პროპაგანდას, ვინაიდან ამ გრანდიოზული ისტორიული მოვლენის სიმბოლური დაგვირგვინება ისეთი მწვერვალია მსოფლიო ისტორიისა, რომელსაც ვერანაერი შემკობა ვერ უძლებს.

მოვყევი ამბები იმისათვის, რომ 9 მაისი მხოლოდ სიმბოლურ თარიღად არ წარმომედგინა, ეს იყო თარიღი, რომელმაც მსოფლიო ისტორიის გვირგვინი დაწნა, სწორედ ამ გვირგვინს ელოდა ბაბუ წლიდან წლამდე, ემზადებოდა ამ თარიღისათვის, მთელი წელი ,,პედესტალს აპირკეთებდა", რომ საბოლოო კულმინაცია - გამარჯვების კორონაცია ღირსეულად აღენიშნა. . .

გიორგი გარუჩავა

18 მაისი-მუზეუმების საერთაშორისო დღე ეროვნული ქუდების გამოფენა

თავსაბურავი — ჩაცმულობის ერთ-ერთი კომპონენტია,რომელიც უძველესი ხანიდანვე ადამიანის სოციალური მდგომარეობის მაჩვენებელი ნიშანი იყო. მის ფორმას განსაზღვრავდა გეოგრაფიული გარემო, სამეურნეო-ეკონომიკური პირობები და ეთნოგრაფიულ ერთეულთა კულტურულ-ისტორიული ტრადიციები. დროთა ვითარებაში შემუშავდა თავსაბურავის განსხვავებული ტიპები: სამუშაო, საუქმო, საქორწილო, სამგლოვიარო, სამეფო, სამხედრო, სასულიერო, საკარისკაცო და სხვა. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, თავსაბურავის მნიშვნელობით გვხვდება ტერმინები "საბურავი", "სარქმელი", "ქუდი" და სხვა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავლად არის შემონახული ქალისა და მამაკაცის მრავალფეროვანი თავსაბურავი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერითა და მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, ეროვნული სამოსისა და მუზეუმების საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის



მუზეუმში გაიმართა ეროვნული ქუდების გამოფენა. წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის დამახასიათებელი ეროვნული (მეგრული, სვანური, კახური, თუშური, იმერული, მთიულური(ბოხოხები) ქუდები. აქვე ნახავდით მეგრულ სამუშაო ჭილოფის, ნაჭრის ქუდებს. ფართოდ იყო წარმოდგენილი პროფესიული თავსაბურავები: სხვადახვა სახის მეზღვაურის ქუდები, სამხედრო კეპები, შლიაპები, ბეისბოლის, პოლიციელის ქუდები.

თავს იწონებდნენ მამაკაცის კეპიანი ქუდები, რომლებიც ჩვენთან იკერებოდა, პოპულარობით სარგებლობდა არამარტო სენაკში, არამედ მეზობელ რაიონებში.

საინტერესო იყო ჟიული შარტავას მუზეუმში გამართული უცხოელი, ცნობილი მხატვრების რეპროდუქციის გამოფენა ,,თავსაბურავები მსოფლიო მხატვრობაში".

მუზეუმის დღესთან დაკავშირებით მუზეუმის თანამშრომლები დააჯილდოვეს მადლობის ბარათებით და სასაჩუქრე ვაუჩერებით.

ღონისძიებას ესრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნათია ეჯიბია და დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, გურანდა შამათავა, სამუზეუმო სფეროსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეროვნული სამოსისა და მუზეუმების საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი კვირეული 21 მაისს პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში გამართული კოსტუმირებული მსვლელობით, თეატრალური სტუდიის სპექტაკლ ,,განდეგილით", ლინდა ადამია და ბენდი 1/4-ის კონცერტით დასრულდა.

მ. გერგაია

იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს

საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ევროპის იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვადასხვა ფართო მასშტაბიან ღონისძიებებს. მისი მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეებისთვის, შეხსენება იმისა თუ

როგორ იცავს ვაქცინაცია თაობების ჯანმრთელობას ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისგან.

საქართველოში ევროპის იმუნიზაციის კვირეული აპრილის ბოლო კვირას აღინიშნება, რომელიც მიმდინარე წელს 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით ჩატარდა. კვირეულის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოხდა იმუნიზაციის აქტუალობის შეხსენება და ინფორმაციის მიწოდება მედიის, ჯანდაცვის სისტემის სპეციალიტებისა და მოსახლეობისთვის.

1974 წლიდან დაიწყო იმუნიზაციის გლობალური გაფართოებული პროგრამა, რათა ყველა ბავშვს, ყველა ქვეყანაში ესარგებლა სიცოცხლის გადამრჩენი/შემანარჩუნებელი ვაქცინებით 6-პოტენციურად ფატალური დაავადებების წინააღმდეგ, რის შედეგადაც ვაქცინაციამ უდიდესი წვლილი შეიტანა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებაში. იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვეციას წარმოადგენს, ანუ თავიდან აგვაცილებს განსაკუთრებით 0-15 წლამდე ასაკის მოზარდებში სიცოცხლისთვის მეტად საშიშ დაავადებებს. სტატისტიკის მიხედვით 2015 წლისთვის 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში 2/3-ით შემცირდა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიზანია მოსახლეობაში მაღალი იმუნური სტატუსის უზრუნველყოფა იმ დაავადებების წინააღმდეგ, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციითაა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ყოველწლიურად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამის ფარგლებში 20 წლის განმავლობაში თავიდან აცილებულია ბავშვთა სიკვდილის სულ ცოტა 3 მილიონი შემთხვევა იმ დაავადებებისგან, რომლის პრევენციაც მიიღწევა აცრების ჩატარების შემთხვევაში.

რუტინული იმუნიზაციის პროგრამები განაგრძობს ინოვაციების დანერგვას, გაფართოებას და დღეისთვის მოიცავს ბავშვთა, მოზარდთა და მოზრდილთა ვაქცინაციას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული სულ მცირე 13 დაავადების წინააღმდეგ.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიზანია, მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისგან და იგი უზრუნველყოფს უფასო ვაქცინაციას იმუნიზაციის კალენდრით და ეპიდ ჩვენებით განსაზღვრული ვაქცინებით. სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის-ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, B-ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის, ადამიანის პაპილომა ვირუსის, პნევმოკოკური ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენტა ტიპი ბ საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

სახელმწიფო პროგრამა ასევე მოიცავს სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციას სხვადასხვა რისკ ჯგუფში და ანტირაბიული პრეპარატით უზრუნველყოფას.

გარდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციებისა, ასევე ყურადსაღებია და გასათვალისწინებელია უშუალოდ ვაქცინების ხარისხის საანდოობა. აცრის კაბინეტები საქართველოში უზრუნველყოფილია მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული მაღალი ხარისხის ვაქცინებით. მკაცრად უზრუნველყოფილია ვაქცინების შენახვის, ტრანსპორტირების და მომარაგების წესები, ,,ცივი ჯაჭვის" მეთოდით, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ასევე იმუნიზაციის პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებსა და საექიმო ამბულატორიებში.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფი ყოველ წელს აქტიურადაა ჩართული იმუნიზაციის კვირეულში. მიმდინარე წლის 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების თანამშრომლებთან და აღსაზრდელების მშობლებთან, ასევე სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებთან, იმუნიზაციის მნიშვნელობის საჭიროების შეხსენებასთან დაკავშირებით.

იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილების უფროს - ანზორ ქობალიას, მთავარ სპეციალისტ- თამუნა აბსანძესა და შპს სენაკის ბავშვთა საავადმყოფოს მედ-პერსონალთან შედგა შეხვედრა. ყურადღება გამახვილდა ეროვნული კალენდრით პროფილაქტიკური აცრების მიმდინარეობისა და წითელას პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესრულებაზე.

კიდევ ერთხელ აღინიშნა, როგორ იცავს იმუნიზაცია ადამიანის სიცოცხლეს დღეს და რისი მიღწევა შეიძლება მომდევნო ათწლეულებში იმის გათვალისწინებით, რომ უფრო მეტი ბავშვი და ზრდასრული მიიღებს ჯანმრთელობის დასაცავად აუცილებელ ვაქცინებს.

მიმდინარე წლის კამპანიის ძირითადი თემაა ,,იმუნიზავია ყველასთვის - ჩვენ ეს შეგვიძლია".

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სლოგანებია: ,,იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს". ,,ჩვენ ვიცრებით, რათა გადავარჩინოთ სიცოცხლე". ,,აიცერი და დაიცავი". ,,დიდიხანს სიცოცხლე ყველას". ,,ავიცრათ ერთმანეთისთვის". ,,ვაქცინაცია ბავშვების ჯანმრთელ მომავალს უზრუნველყოფს".

სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფი მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული დეტალები. დროულად ჩაუტაროთ ბავშვებს აცრები, რათა უზრუნველყოთ მათი ჯანმრთელობა და ვაქცინაციით მართვადი დაავადებების პრევენცია.

ვაქცინაცია-ყველაზე ეფექტური გზაა სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების წინააღმეგ საბრძოლველად.

იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს!!! ჩვენ ვიცრებით, რათა გადავარჩინოთ მომავალი!!!

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალთარია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, გიორგი გარუჩავა
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, რუსთაველის ქ. №235
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხომლი ენ" სტამბაში
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33